საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№1/260 2017 წლის 16 ოქტომბერი ქ. თბილისი

2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის №1/162 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების მიზნით:

1. დამტკიცდეს თანდართული 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო წესი (დანართი 1).

2. დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფებისა და სამდივნოს შემადგენლობა თანდართული სახით (დანართი 2).

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2017 წლის 16 ოქტომბრის №1/260 გადაწყვეტილებით

დანართი 1

2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო
წ ე ს ი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი *(18.06.2018 N1/211)*

წინამდებარე წესი განსაზღვრავს 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის (შემდგომში -

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა) შესრულებისა და განახლებისათვის საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებებს.

მუხლი 2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენცია

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - იუსტიციის უმაღლესი საბჭო):

ა) ზედამხედველობს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესს;

ბ) ქმნის სამუშაო ჯგუფებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - ქვეჯგუფებს, განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფების/ქვეჯგუფებისა და სამდივნოს შემადგენლობას;

გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრთაგან ირჩევს სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებლებს;

დ) ისმენს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიურ ანგარიშებს; *(18.06.2018 N1/211)*

ე) ისმენს და ამტკიცებს შეფასების 2-წლიანი ანგარიშის პროექტს; *(18.06.2018 N1/211)*

ვ) ამტკიცებს ანგარიშგებისა და დონორ ორგანიზაციებთან კოორდინაციის ფორმებს;

ზ) სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის საფუძველზე განიხილავს და ამტკიცებს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების შესახებ პროექტს; *(18.06.2018 N1/211)*

თ) სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საჭიროების შემთხვევაში სხდომაზე იწვევს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლებს, სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირებს.

მუხლი 3. სამუშაო ჯგუფი

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო სამუშაო ჯგუფებს ქმნის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად.

2. სამუშაო ჯგუფი:

ა) შეიმუშავებს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების გეგმას კონკრეტული ღონისძიებების, მათი განხორციელების ვადებისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი და თანაპასუხისმგებელი ორგანოების მითითებით;

ბ) განსაზღვრავს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების პრიორიტეტულობას, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს აქტივობების ან/და აქტივობების შესრულების ვადების განახლების შესახებ პროექტს; *(20.11.2017 N1/314)*

გ) ამზადებს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიშის პროექტს; *(18.06.2018 N1/211)*

დ) სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისად შეიმუშავებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტებს;

ე) ამზადებს წინადადებებს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ბიუჯეტირების თაობაზე;

ვ) სახელმწიფო ორგანოებიდან და საერთო სასამართლოებიდან გამოითხოვს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციას;

ზ) სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ხელშეწყობის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან.

3. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს 2 თანამომხსენებელი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი მოსამართლე და ერთი არამოსამართლე წევრი.

4. სამუშაო ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, საერთო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის, სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და საერთო სასამართლოს აპარატის მოხელე. *(26.03.2018 N1/165)*

5. სამუშაო ჯგუფის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ან დამკვირვებლად, სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, შესაძლოა მოწვეულ იქნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლები, აგრეთვე, სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებში სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირები მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციებისა და პროექტების შემუშავების მიზნით.

6. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ სამუშაო ჯგუფს წარუდგინონ წინადადებები და პროექტები სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

7. სამუშაო ჯგუფის სხდომა იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ. სამუშაო ჯგუფის სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

8. სამუშაო ჯგუფის სხდომის დღის წესრიგში საკითხის შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს სამუშაო ჯგუფის წევრი.

9. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი. სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

10. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თანამომხსენებლები და მდივანი.

მუხლი 4. თანამომხსენებლების კომპეტენცია *(20.11.2017 N1/314)*

სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებლები ურთიერთშეთანხმებით:

ა) სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მიზნით ჯგუფის წევრებს შორის ანაწილებენ ფუნქციებს და აძლევენ მათ დავალებებს;

ბ) იწვევენ და წარმართავენ სამუშაო ჯგუფის სხდომებს;

გ) ამტკიცებენ სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგს;

დ) იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენენ ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პროექტებს.

მუხლი 5. სამდივნო

1. სამუშაო ჯგუფების მუშაობის კოორდინაციისა და ადმინისტრირების მიზნით იქმნება სამდივნო, რომელიც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს სამუშაო ჯგუფების მუშაობას, ამზადებს სამუშაო ჯგუფების სხდომებს, ადგენს სხდომის ოქმებს, უზრუნველყოფს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის საჯაროობას. *(18.06.2018 N1/211)*

1. სამუშაო ჯგუფების მუშაობის კოორდინაციისა და ადმინისტრირების მიზნით იქმნება სამდივნო, რომელიც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს სამუშაო ჯგუფების მუშაობას, ამზადებს სამუშაო ჯგუფების სხდომებს, ადგენს სხდომის ოქმებს, უზრუნველყოფს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებისა და მონიტორინგის ანგარიშების საჯაროობას.

2. სამდივნოს შემადგენლობაში შედის სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, რომელიც შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელე.

3. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი:

ა) უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ტექნიკურ მხარდაჭერას, ამზადებს სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განსახილველ საკითხებს, უზრუნველყოფს პროექტების მომზადებას;

ბ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან კოორდინაციით ამზადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის იმ საკითხებს, რომლებიც შეეხება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებასა და განახლებას; *(18.06.2018 N1/211)*

გ) ამზადებს შესრულების ყოველწლიური და შეფასების 2-წლიანი ანგარიშის პროექტებს; *(18.06.2018 N1/211)*

დ) უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი.

მუხლი 6. ანგარიშვალდებულება *(18.06.2018 N1/211)*

1. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარედგინება წელიწადში ერთხელ (ივნისში).

2. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარედგინება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას.

3. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წელიწადში ერთხელ, კონფერენციის ფარგლებში, წარედგინება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლებს.

4. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, აგრეთვე სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, განთავსდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. *(12.11.2018 N 1.273)*

დანართი 2 *(18.06.2018 N1/211)*

სამუშაო ჯგუფებისა და სამდივნოს შემადგენლობა

I სამუშაო ჯგუფი (სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა):

ა) თამარ ონიანი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი);

ბ) ნაზი ჯანეზაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი);

გ) გიორგი მიქაუტაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;

დ) შოთა ქადაგიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ე) გიორგი პავლაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

ვ) შორენა გიგაური - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ზ) თამარ პაპაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი;

თ) ნათია ზურაბაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი.

ი) ნათია მახათაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი კონსულტანტი. *(24.09.2018 N1/252)*

სამდივნო:

ა) მარიამ მაჭარაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი (სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი); *(24.09.2018 N1/252)*

ბ) ნინო დემურხანაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი.

II სამუშაო ჯგუფი (ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა):

ა) დიმიტრი გვრიტიშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი);

ბ) ზაზა ხარებავა - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი);

გ) გიორგი მიქაუტაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;

დ) ირაკლი ბონდარენკო - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ე) ქეთევან ცინცაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი;

ვ) ვალერიან გავაშელი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის უფროსი;

ზ) შორენა მეზურნიშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

თ) შორენა გიგაური - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ი) თორნიკე გეწაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი;

კ) ონისე მეტრეველი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს კონსულტანტი;

ლ) ქეთევან ლაცაბიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერი;

მ) მარიამ ხოფერია - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის კონსულტანტი;

ნ) ნათია ზურაბაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი;

ო) ლია მჭედლიშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი მხარდაჭერის სტატისტიკის სექტორის უფროსი;

პ) ხათუნა ჩარკვიანი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი კონსულტანტი;

ჟ) ნათია ვასაძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი კონსულტანტი;

რ) ქეთი ბასილაშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეს-მდივანი.

ს) მაია ბოცვაძე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის კოორდინატორი. *(16.07.2018 N 1/232)*

სამდივნო:

ა) თამარ აკობიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი (სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი); *(24.09.2018 N1/252)*

ბ) ნინო დემურხანაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი.

III სამუშაო ჯგუფი (ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა):

ა) ირაკლი შენგელია - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი);

ბ) ირმა გელაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი);

გ) სერგო მეთოფიშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

დ) ვასილ მშვენიერაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ე) ილია დევიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

ვ) თინათინ აბრალავა - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ვ^1) ირაკლი გოცირიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე; *(31.05.2019 N 1/107)*

ზ) თორნიკე გეწაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი;

თ) თამარ პაპაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი;

ი) ვახტანგ გარდაფხაძე - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი;

კ) ანიკო ფარჯიანი - სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობის სექტორის უფროსი;

ლ) ვანო ბოლქვაძე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერი;

მ) მარიამ ცქიფურიშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერი.

ნ) მარიამ მაჭარაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი. *(24.09.2018 N1/252)*

სამდივნო:

ა) ნინო მდინარაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი (სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი); *(24.09.2018 N1/252)*

ბ) ნინო დემურხანაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი.

IV სამუშაო ჯგუფი (მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა):

ა) რევაზ ნადარაია - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი);

ბ) ლევან გზირიშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი);

გ) ამოღებულია *(29.10.2018 N 1/270)*

დ) ანა დოლიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ე) მირანდა ერემაძე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე;

ვ) ეკა არეშიძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ზ) თამარ სულაქველიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

თ) შორენა მეზურნიშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

თ[1]) ირაკლი გოცირიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე; *(31.05.2019 N 1/107)*

ი) ქეთევან ლაცაბიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერი;

კ) ანა შალამბერიძე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომუნიკაციისა და კოორდინაციის ხელმძღვანელი;

ლ) ვახტანგ გარდაფხაძე - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი;

მ) ანიკო ფარჯიანი - სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობის სექტორის უფროსი.

ნ) ხატია შეყილაძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს კონსულტანტი. *(24.09.2018 N1/252)*

ო) მარიამ ბერბიჭაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი. *(29.10.2018 N 1/270)*

სამდივნო:

ა) მარიანა ფომაევა - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი (სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი); *(24.09.2018 N1/252)*

ბ) ნინო დემურხანაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი.